კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის ბიზნესის სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	
	სამაგისტრო პროგრამა აგრობიზნესის მენეჯმენტში

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	
	Master's program in Agri-business Management

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	
	მაგისტრატურა

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	
	უმაღლესი

სწავლების ენა	
	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
ქართულად:	აგრობიზნესის მენეჯმენტის მაგისტრი
ინლისურად:	Master in Agri-business Management
პროგრამის ხელმძღვანელი	ლალი ყიფშიძე

პროგრამის მოცულობა კრედიტებით	

აგრობიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს. პროგრამის გავლის ოპტიმალური ვადა შეადგენს 2 წელს. სტუდენტი ერთი აკადემიური წლის განმავლობაში საშუალოდ გადის 60 ECTS კრედიტს. სასწავლო წელი აგებულია ტრიმესტრული პრინციპით: შემოდგომის, გაზაფხულისა და ზაფხულის ტრიმესტრები.

1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც მაგისტრანტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი, კვლევითი პრაქტიკა და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილ დროს.

აგრობიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს სავალდებულო და არჩევით სასწავლო (90 ECTS) და კვლევით (30 ECTS) კომპონენტებს. I-V ტრიმესტრების განმავლობაში სტუდენტი გადის

სავალდებულო და არჩევით საგნებს. V ტრიმესტრებში სტუდენტს აქვს საშუალება, აირჩიოს 5 არჩევითი საგნიდან ორი და გაიაროს პროფესიული პრაქტიკა. VI ტრიმესტრში სტუდენტი ასრულებს და იცავს სამაგისტრო ნაშრომს.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე მაგისტრანტს უფლება აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სწავლა განაგრძოს დამატებითი ტრიმესტრების (არა უმეტეს 6 ტრიმესტრისა) განმავლობაში, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.

პროგრამის შემადგენლობა: პროგრამა შედგენილია იმგვარად, რომ მოიცავდეს აგრო-საწარმოს განვითარების ყველა ძირითად საკითხს, აგრობიზნესის მართვას, აგრობიზნესის ეკონომიკასა და კვლევის მეთოდებს. შესაბამისად, საგნები დაყოფილია შემდეგნაირად:

ა) ***ძირითადი საგნები***, რომლებიც პროგრამას ანიჭებენ უნიკალურობას და მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ სპეციფიური ცოდნის მიღებაში, გააზრებასა და კომპეტენციის გაღრმავებაში. მათი ჩაბარება მოეთხოვება პროგრამაზე რეგისტრირებულ ყველა სტუდენტს.

ბ) ***არჩევითი საგნები***, რომელთა არჩევაც სტუდენტს შეუძლია ნებაყოფლობით პროგრამაზე შეთავაზებულ საგანთა ჯგუფიდან. აღნიშნული საგნები საშუალებას აძლევს სტუდენტს, გაიღრმაოს ცოდნა რომელიმე განსაზღვრულ სფეროში.

პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისება შესაბამის სფეროში მოღვაწე ორგანიზაციაში არის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა აგრო-ბიზნესის მენეჯმენტის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად. კავკასიის უნივერსიტეტს აქვს ხელმოწერილი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სხვადასხვა აგრარული პროფილის მქონე ორგანიზაციასთან. შესაბამისად, აგრობიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები გაივლიან პროფესიულ პრაქტიკას აგრარული პროფილის მქონე შესაბამის ორგანიზაციაში, კონკრეტული საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე. პროფესიულ პრაქტიკას მინიჭებული აქვს 10 ECTS კრედიტი იმისათვის, რომ გარკვეული პერიოდის მანძილზე სტუდენტებმა გაიღრმაონ აგრობიზნესის მენეჯმენტის სფეროში არსებული თეორიული ცოდნა, პრაქტიკაში შეისწავლონ აგრობიზნესის მართვის ფუნდამენტური პრინციპები, შეიძინონ სხვადსხვა დარგის გაძღოლისა და კულტურების მოვლის სპეციფიური უნარ-ჩვევები. პროფესიული პრაქტიკის კურსი ფასდება 100 ქულიანი სისტემით, საიდანაც 70 ქულის ფარგლებში სტუდენტს აფასებს მასპინძელი ორგანიზაცია; დარჩენილი 30 ქულის ფარგლებში კი სტუდენტი კავკასიის ბიზნეს სკოლაში წარსდგება პრეზენტაციით პროფესიული პრაქტიკის ფარგლებში გაწეული სამუშაოს შესახებ.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	
	▪ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი ▪ ერთიანი სამაგისტრო გამოცდების წარმატებით ჩაბარება ▪ კავკასიის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო მიმღები ტესტის წარმატებით გავლა, რომელიც შედგება სამი ნაწილისგან ინგლისური, ლოგიკური აზროვნება, მათემატიკა. აპლიკანტი, რომელიც წარადგენს ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ სერთიფიკატს (IELTS – 6.5ქულა, TOIFL – 90 ქულა) გათავისუფლდება ინგლისური ენის ტესტირებიდან. ინგლისური ენა აუცილებელია რათა სტუდენტმა შეძლოს ინგლისურ ენაზე არსებულ სახელმძღვანელოებთან ეფექტური მუშაობა. ▪ კავკასიის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო მიმღები კომისიის მიერ შემუშავებული გასაუბრების წარმატებით

	გავლა ▪ ნიშნების ფურცლი ▪ 2 სარეკომენდაციო წერილი ▪ CV/რეზიუმე ▪ 1 ცალი პასპორტის ფოტოსურათი ▪ პირადობის მოწმობის ასლი ▪ სამხედრო მიწერის მოწმობის ასლი (მამაკაცებისთვის) ▪ სამოტივაციო წერილი ▪ საზღვარგარეთის მოქალაქეების მიღება მოხდება არსებული კანონმდებლობის შესაბამისად

პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანი სრულ თანხვედრაშია კავკასიის უნივერსიტეტისა და კავკასიის ბიზნეს სკოლის მისიასა და მიზანთან, რომელიც უზრუნველყოფს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კონკურენტუნარიანობასა და მათ შესაბამისობას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. აღნიშნული მიზნის მისაღწევად კი პროგრამა უზრუნველყოფს კვლევებზე ორიენტირებულ სწავლებას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება სოფლის მეურნეობის სფეროში საზოგადოების საგანმანათლებლო და საკონსულტაციო მოთხოვნების დაკმაყოფილება. მიზნის მისაღწევად პროგრამა ასევე ნერგავს სწავლების თანამედროვე მეთოდებს, აახლებს სასწავლო მასალებს, ხელს უწყობს ინოვაციების დანერგვას სწავლა-სწავლების პროცესში. ამასთან, პროგრამის მიზანია, მოამზადოს აგრობიზნესის მენეჯმენტის სპეციალისტები, რომლებსაც ნათლად ექნებათ გაცნობიერებული ინდივიდის როლი მენეჯერულ საქმიანობაში როგორც ერთიანი გუნდის წევრის, ასევე პირადი შესაძლებლობებისა და პასუხისმგებლობების კუთხით. ამასთან, პროგრამა ყურადღებას ამახვილებს როგორც ზოგადი მართვის, ასევე აგრარულ საწარმოში ფუნქციური არეებისა და სისტემების წარმატებულ გაძღოლაზე. **შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს:** აგრობიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ძირითად მიზანს წარმოადგენს ადგილობრივი შრომის ბაზრისთვის მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება. პროგრამა საშუალებას მისცემს სტუდენტებს: • შეიძინონ მოწინავე თეორიული ცოდნა, მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება და გაათვითცნობიერონ აგრობიზნეში არსებულიპოზიტიური მიდგომები. ყოველივე ამით კი უპასუხონ სექტორში არსებულ გამოწვევებსა თუ შესაძლებლობებს; • განივითარონ აგრობიზნესის საწარმოთა მართვის უნარი ადგილობრივ, ეროვნულ და რეგიონალურ დონეებზე. **შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:** პროგრამა მაქსიმალურად ხელს შეუწყობს შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებასა და უახლესი მეთოდების დანერგვას, შეეცდება შესაბამის სფეროში მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების, საჯარო თუ კერძო სექტორის წარმომადგენელთა სწავლების პროცესში ჩართვას. ყურადღება მიექცევა სტუდენტის პიროვნული პოტენციალის სრულფასოვან რეალიზებას. პროგრამა მიზნად ისახავს ისეთი მენეჯერების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ

	მეცნიერული ცოდნის წარმატებულ გამოყენებას პრაქტიკაში. პროგრამის კურსდამთავრებულთა ძირითადი კომპეტენციები განისაზღვრება შემდეგი სფეროებით: სოფლის მეურნეობის საჯარო პოლიტიკის ანალიზი და ფორმირება, აგრარულ სექტორში არსებული გამოწვევები და მათი შემცირების გზების მოძიება, საქართველოდან აგრარული ექსპორტის პოტენციალის ზრდა, სხვადასხვა სექტორის აგროსაწარმოთა შექმნა და ეფექტური მართვა.
პროგრამის სწავლის შედეგი	სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ადგილობრივი მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების, ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ათვისებისა და თანამედროვე აგრობიზნესში არსებულ გამოწვევებზე სრულფასოვანი კონტროლის დამყარების მიზნით, სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები მიიღებენ განათლებას, რომელიც საშუალებას მისცემს მათ, ეფექტურად გამოიყენონ მიღებული უნარ-ჩვევები აგროსექტორის მართვასთან დაკავშირებული პრობლემებთან გამკლავებაში. აგრობიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამით მიღებული განათლება საშუალებას მისცემს კურსდამთავრებულებს, სწორად მოახდინონ აგრარულ სფეროში არსებული მართვის პრობლემების იდენტიფიკაცია, დროულად და ეფექტურად იზრუნონ მათ აღმოფხვრაზე და მუდმივად იზრუნონ ორგანიზაციის წინსვლასა და მასში ინოვაციური მიდგომების დანერგვაზე. გარდა აღნიშნულისა, სამაგისტრო პროგრამა უბიძგებს კურსდათავრებულებს, მუდმივად იზრუნონ საკუთარ პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე, რაც თანამედროვე დინამიურ ბიზნეს-გარემოში წარმატებული ფუნქციონირების აუცილებელი წინაპირობაა. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები: - იქნებიან კონკურენტუნარიანები შრომის ბაზარზე; - დასაქმდნენ მსგავს კადრებზე მოთხოვნის მქონე, აგრარული პროფილის ორგანიზაციებში, რასაც ხელს შეუწყობს კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიული პარტნიორობა შესაბამის ადგილობრივ თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან; - სწორად გამოიყენებენ შეძენილ ცოდნას, უნარებსა და თანამედროვე მიდგომებს აგროსაწარმოთა წარმატებულ განვითარებასა და აგრარული სფეროს ეფექტური პოლიტიკის ფორმირებაში; - მოახდენენ აგრარულ სფეროში არსებული შესაძლებლობების იდენტიფიცირებას; - დაგეგმავენ და განავითარებენ აგრარული საწარმოებს; სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს გამოუმუშავდება ქვემოთ ჩამოთვლილი კომპეტენციები და მათთან თანხვედრილი დარგობრივი და ზოგადი უნარ-ჩვევები: **1. ცოდნა და გაცნობიერება** მოცემულ აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შედეგად სტუდენტს ექნება სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა: 1. ქვეყნის ეკონომიკისთვის სოფლის მეურნეობის დარგის მნიშვნელობის განსაზღვრაში; 2. აგრარული პოლიტიკის ანალიზში; 3. აგრო-საწარმოთა ღირებულებათა ჯაჭვის განვითარებასა და მართვაში; 4. სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგობრივი კულტურების (კაკლოვანი კულტურები, მებაღეობა, რძე და რძის პროდუქტების წარმოება და მართვა,

ხორცი და ხორცის) წარმოებასა და შესაბამისი პროფილის ორგანიზაციების მართვაში
5. ექსპორტის პროცედურებში
6. აგრობიზნესის სტრატეგიულ დაგეგმვასა და მართვაში
7. პროექტების დაგეგმვა-მართვაში
8. საგადასახადო პოლიტიკაში
9. სტატისტიკურ ანალიზში
10. მენეჯერულ აღრიცხვასა და კორპორაციულ ფინანსებში
11. კვლევის მეთოდებსა და მიდგომებში

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

1. აგრარულ სფეროში დამოუკიდებლად მუშაობის, საჭიროებათა კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებისა და ამ კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული პრობლემების აღმოფხვრაზე ეფექტური რეაგირების უნარი;
2. საქართველოსთვის მებაღეობის პრიორიტეტული სექტორის იდენტიფიცირებისა და შესაბამისი კულტურების წარმოების უნარი
3. ფართო სპექტრის ბიზნეს კვლევების წარმოებისა და ცვლილებების განხორციელების უნარი
4. ცვალებად და მრავალფეროვან აგრარულ ბიზნესგარემოში კომპლექსური პრობლემების გადაჭრის უნარი;
5. აგრობიზნესის ორგანიზაციაში მრავალფეროვანი საჭიროებებისა და უნარების მქონე ჯგუფთან მუშაობისა და რესურსების ეფექტური გამოყენების უნარი
6. ხელმძღვანელობის უნარი, კადრებთან ეფექტური თანამშრომლობისა და ერთ გუნდად შეკვრის უნარი
7. ბიზნესის პროექტირებისა და მისი ეფექტურად გაძღოლა-კონტროლის უნარი
8. სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგობრივი კულტურების (კაკლოვანი და მებაღეობის სხვა კულტურები,) წარმოებისა და შესაბამისი პროფილის ორგანიზაციების მართვის უნარი
9. რძისა და რძის პროდუქტების წარმოებისა და მართვის უნარი
10. ხორცისა და ხორცის პროდუქტების წარმოებისა და მართვის უნარი
11. ახალ ბაზრებზე მარკეტინგული კვლევების წარმოებისა და ახალ ბაზრებზე აგრარული პროდუქტის შეღწევა-დამკვიდრების ხელშეწყობის უნარი

3. დასკვნის გაკეთების უნარი

1. თანამედროვე დინამიურ ბიზნეს გარემოში რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზისა და სინთეზის შედეგად დასაბუთებული დასკვნების გაკეთების უნარი;
2. თანამედროვე ბიზნეს-გარემოში არსებულ გამოწვევებზე სწრაფი დასკვნების გაკეთებისა და მათზე ეფექტური რეაგირების უნარი;
3. საკუთარი მოქმედების არეალში ახალი იდეების, ინოვაციებისა და კრეატიული მიდგომების დანერგვაზე მუდმივი ზრუნვის უნარი;
4. კრიტიკული აზროვნებისა და თვითკრიტიკის უნარი
5. სისტემური აზროვნების უნარები

4. კომუნიკაციის უნარი

1. აგრობიზნესის რელევანტურ თემებზე შესაბამისი დაინტერესეული მხარეებისთვის ანგარიშების მომზადებისა და სწორი კომუნიკაციის უნარი
2. ქართულ ენაზე აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან დასკვნების,

	არგუმეტნაციისა და კვლევის მეთოდებისა თუ შედეგების კომუნიკაცია; 3. ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებით დასკვნების, არგუმეტნაციისა და კვლევის შედეგების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან 4. ინტერდისციპლინარულ ჯგუფში და არასპეციალისტებთან მუშაობისა და დასკვნების, არგუმენტაციისა და შედეგების კომუნიკაციის უნარი **5. სწავლის უნარი** 1. პირადი პროფესიული პრეფერენციების იდენტიფიცირება და შესაბამისი სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი 2. სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერების, განსაზღვრისა და, შესაბამისად, მოქმედების უნარი 3. სწავლის პროცესის სტრატეგიულად დაგეგმვის უნარი **6. ღირებულებები** 1. ქართული და საერთაშორისო საზოგადოებისათვის და ბიზნესის მართვისათვის მიღებული ღირებულებებისა და ფასეულობებისადმი დამოკიდებულების შეფასების, შესაბამისად მოქმედებისა და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანის უნარი 2. ბიზნესის ეთიკურად მართვის მიდგომების შეფასებისა და შესაბამისად, მოქმედების უნარი
დასაქმების სფეროები	აგრობიზნესის მენეჯმენტში სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულმა თავისი კარიერის საწყის ეტაპზე შეიძლება, დაიკავოს საშუალო რგოლის მენეჯერის პოზიციები როგორც კერძო, ისე საჯარო და არასამთავრობო ორგანიზაციებში. ამ ეტაპზე პროგრამას არ ჰყავს კურსდამთავრებულები. კურსდამთავრებულებმა შეიძლება დაიკავონ შემდეგი პოზიციები: • აგრობიზნესის მართვის მენეჯერი • აგრობიზნესის წარმოებისა და ოპერაციების მენეჯერი • დარგობრივი კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი • ანალიტიკური სამსახურის მენეჯერი აგრარული მიმართულებით • სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის მენეჯერი

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

კავკასიის ბიზნესის სკოლის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამით მენეჯმენტში შემოთავაზებული სასწავლო კურსების დაუფლება სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

განვლილი სასწავლო კურსის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ათვისება შეფასებული იქნება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული მეთოდების წილისგან შედგება.

სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

- მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;
- ყოველკვირეულ შეფასებას (ტესტი, სიტუაციის ანალიზი, ბიზნეს-ქეისის ანალიზი, გარკვეული სახის პრეზენტაცია და ა.შ.);
- შუა სემესტრულ შეფასებას;
- საბოლოო გამოცდის შეფასებას.

სტუდენტის ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერითი (ტესტი, სიტუაციის ანალიზი, ღია კითხვები, ესსე და ა.შ) გამოკითხვა, ჯგუფური/ინდივიდუალური დავალების მომზადება და მისი პრეზენტაცია. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახული იქნება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში.

შეფასების სისტემაში ქულები გადანაწილდება შემდეგი სქემის მიხედვით:
(A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91%-100%
(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81% – 90%.
(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71% – 80 %.
(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61% – 70%.
(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51% – 60%.

თუ სტუდენტმა ვერ დააგროვა დადებითი შეფასებისთვის საკმარისი ქულათა ჯამი, მაგრამ მის მიერ მოპოვებული ქულები შეადგენს ან აღემატება მაქსიმალური შეფასების 41%-ს, მას ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები შეფასების მიღება ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL) მეთოდი, სწავლების დედუქციური მეთოდი, ანალიზის მეთოდი, სინთეზის მეთოდი და სხვა. აღნიშნული კურსის ფარგლებში მნიშვნელოვანია ასევე პრაქტიკული საქმიანობით სწავლების მეთოდი. სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახული იქნება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

პროგრამის სასწავლო კურსები

სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის აღწერა	სავალდებულო/ არჩევითი	ECTS კრედიტი	სწავლების სემესტრი
სტატისტიკური ანალიზი	კურსი 'სტატისტიკური ანალიზი აგრობიზნესში' მოიცავს საფუძვლიან ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეგროვდეს სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემები, როგორ უნდა მოხდეს მათი პირველადი დამუშავება და ინტერპრეტაცია. აგრეთვე, ანალიზი და ამ ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება. კურსის შინაარსი მოიცავს კლასიკურ სტატისტიკურ მეთოდებს: სტატისტიკის ძირითადი ცნებები, მონაცემთა შეგროვება, მონაცემთა წარმოდგენა ცხრილებისა და გრაფიკების სახით, ხდომილებები და ალბათობის თეორიის საფუძვლები, ალბათური განაწილებები, დისკრეტული და უწყვეტი შემთხვევითი სიდიდეები, ამორჩევები და ამორჩევათა განაწილებები, ამორჩევის საშუალოსა და პროპორციის განაწილებები, პარამეტრების შეფასებები, დასაშვები და სანდოობის ინტერვალების აგება, ჰიპოთეზების შემუშავება და შემოწმება, რეგრესიული ანალიზი და სტატისტიკური დასკვნების გაკეთება.	სავალდებულო	5	I
აგროსაწარმოს განვითარების საზოგადოებრივი ორგანიზაცია	კურსის საშუალებით სტუდენტები გაიგებენ აგროსაწარმოთა განვითარებისკენ მიმართული კოლექტიური ქმედებისთვის საჭირო საზოგადოებრივი კაპიტალის, ორგანიზაციის თეორიული მიდგომებისა და მოდელების შესახებ. კურსი დაანახებს სტუდენტებს საზოგადოებრივ ორგანიზაციასა და ბაზრებს შორის არსებულ ურთიერთკავშირსა და ამ კავშირის შედეგად საბაზრო გაცვლების ზრდას. პრაქტიკული ქეისების განხილვა გააძლიერებს სტუდენტების აღქმას სოფლის მეურნეობაში საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და ბაზრის განვითარებაში კოლექტიური ქმედების მნიშვნელობის შესახებ. ასევე საქართველოში სოციალური ორგანიზაციებისა და კოლექტიური ქმედებების ჩარჩოებს სოფლის მეურნეობაში.	სავალდებულო	5	I
მენეჯერული აღრიცხვა	მენეჯერული აღრიცხვა არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომელიც აძლიერებს კომპანიის შესაძლებლობებს, რათა სწორი და ფინანსურად გამართლებული გადაწყვეტილებები იქნას მიღებული. ეს კურსი მიმოიხილავს	სავალდებულო	5	I

	მეთოდებს, რომელიც ზომავს და აანალიზებს ხარჯებს, პროდუქტების მომგებიანობას და სხვა ისეთ საკითხებს, რომელიც ხელს უწყობს კომპანიის მომგებიანობის ზრდას. მენეჯერული აღრიცხვის მთავარი მიზანი არის, მიაწოდოს სასარგებლო ფინანსური ინფორმაცია შიდა მომხმარებლებს, რომ გაუმჯობესონ მენეჯერული გადაწყვეტილების მიღების პროცესი და მისი კონტროლი.			
აგრარული პოლიტიკის ანალიზი	კურსის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან საქართველოსა და მსოფლიოში აგრარული პოლიტიკის კონკრეტული მიმართულებების და ფორმების (სუბსიდირება, ფასის მხარდაჭერა, წარმოების მოცულობასთან დაკავშირებული და მისგან დამოუკიდებელი სუბსიდიები და ა.შ.) ირგვლივ მიმდინარე დებატებს და იმ გზებს, რითაც აგრარული პოლიტიკის მკვლევარებს შეუძლიათ ჩაერთონ პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში. ამისათვის, სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება კონკრეტული შემთხვევები საქართველოს, ევროკავშირის, თურქეთის და სხვა ქვეყნების პრაქტიკიდან. აგრარული პოლიტიკის ანალიზის კურსი სტუდენტს აღჭურავს იმგვარი ტიპის ემპირიული ინსტრუმენტებითა და ტექნიკებით, რომლებიც საშუალებას მისცემს მათ პოლიტიკის გადაწყვეტილებების, სიღარიბისა და საკვების უსაფრთხოების შეფასებისთვის; და ბოლოს, სტუდენტებს შეხება ექნებათ პოლიტიკის დიზაინის, საკითხთა ორგანიზების, მონიტორინგის პროცესისა და პოლიტიკის ზემოქმედების შეფასების ასპექტებთან ისევე, როგორც საოჯახო მეურნეობის ეკონომიკის გაზომვის მეთოდებთან. მეტი თვალსაჩინოებისთვის განხილული იქნება აგრარული პოლიტიკის შეფასებისთვის ჩატარებული კვლევები და დარგის წამყვანი მეცნიერების ნაშრომები.	სავალდებულო	5	I
კვლევის მეთოდები	კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებში მონაცემთა ანალიზის ტექნიკის ცოდნის გაღრმავებას. კურსის მთავარი მიზანია, სტუდენტებს მისცეს ემპირიული მკვლევარების მიერ გამოყენებული რაოდენობრივი მეთოდების პრაქტიკა, გააცნოს სტატისტიკური მონაცემები, რომელიც გამოიყენება როგორც სამეცნიერო, ასევე პოლიტიკურ საზოგადოებებში. კურსში განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა: ემპირიული კვლევითი ნაშრომის წაკითხვა და გააზრება სხვდასხვა ხერხების გამოყენებით, რომელიც პრობლემების გადაჭრის გზების ინფორმირებას უწყობს ხელს (ლიტერატურისა და სტატისტიკური მონაცემების თვალსაზრისით). კურსის განმავლობაში სტუდენტები გაეცნობიან მონაცემების წყაროებს, სტატისტიკურ ინფორმაციებს და ინფორმაციის გადამუშავების გზებს.	სავალდებულო	5	II

აგროსაწარმოთა ღირებულებათა ჯაჭვის განვითარება	სასწავლო კურსის მიზანია აგრო-საწარმოთა ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზისა და განვითარების მექანიზმების შესწავლა; საქართველოში ძირითადი აგრო სექტორების დახასიათება და ამ სექტორებშიღირებულებათა ჯაჭვების შესწავლა და შეფასება; ღირებულებათა ჯაჭვების განვითარების სტრატეგიების განსაზღვრისა და განხორციელების ინსტრუმენტების შესწავლა კერძო სექტორის, სახელმწიფო პოლიტიკისა და საერთაშორისო თანამშრომლობის კონტექსტში; ღირებულებათა ჯაჭვის კონცეფციის დანერგვისა და გამოყენების მეცნიერული მიდგომების პრაქტიკაში გატარების უნარების განვითარება სტუდენტებისათვის. გარდა ამისა, კურსი მიზნად ისახავს აგრო სექტორების, აგრო-საწარმოთა და აგრო ღირებულებათა ჯაჭვების კვლევის, კონკრეტული სიტუაციის ანალიზის, ინფორმაციის მოძიებისა და პრეზენტაციების უნარების განვითარებას.	სავალდებულო	5	II
ფინანსური მენეჯმენტი	აღნიშნული კურსი შეისწავლის ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების კონცეფციებს. იგი უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების, საბუღალტრო გატარებების, ბალანსის, მოგება-ზარალის, ფინანსური უწყისების ახსნა - განმარტებების, შემოსავლების, დებიტორული დავალიანების, ფულადი სახსრების, თვითღირებულების აღრიცხვის და სხვადასხვა კოეფიციენტების შესწავლას. იგი ასევე უზრუნველყოფს ისეთი საკითხების შესწავლას, რომელიც ეხმარება ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებაში.	სავალდებულო	5	II
აგრარული მეწარმეობის განვითარება	კურსის მიზანია, სტუდენტს შესაძლებლობა მისცეს, განსაზღვროს შესაძლებლობები და გამოწვევები მცირე და საშუალო აგრო საწარმოს დაგეგმვასა და განვითარებაში, საწარმოს ფუნქციონირებისა თუ გაფართოებისთვის საჭირო ფინანსური რესურსების მობილიზების წყაროები. კურსი ასევე ხელს შეუწყობს სტუდენტს საკუთარი შესაძლებლობების განვითარებაში, ბიზნესის წარმოება-გაძღოლასა და აგრარული სფეროს მეწარმეებისთვის კონსულტაციების გაწევაში.	არჩევითი	10	
პროექტების მართვა	კურსის მიზანია პროექტის მენეჯმენტის პრინციპების ახსნა და გაგება ბიზნესის ოპერაციებში. აქცენტი გაკეთებულია ამ პრინციპების პრაქტიკულ გამოყენებაზე, როგორც ბიზნეს პროცესების ერთ-ერთ განუყოფელ კომპონენტზე, რაც პროექტის, პროგრამის ან შესაბამისი აქტივობის წარმატებით განხორციელებას შეუწყობს ხელს. კურსში განხილულია პროექტის მართვასთან დაკავსირებული შემდეგი საკითხები და არა მარტო: რა არის პროექტი, პროექტის მიზნები; პროექტის მენეჯერის როლის და მახასიათებლები, პროექტის გუნდი, მოტივაცია და სისტემა, პროექტის მართვის განმასხვავებლი მახასიათებლები; პროექტის ფაზები, პროექტის მართვის ძირითადი ფუნქციები, განსხვავება ტრადიციული მენეჯმენტის ფუნქციებისაგან; სად და როდის შეიძლება გამოვიყენოთ პროექტების მართვის ტექნიკა და არსებული სტანდარდები; გარე ფაქტორების როლი პროექტების წარმატებით განხორციელებისთვის; რა არის სისტემური აზროვნება/ხედვა; რა არის სისტემა და რატომ არის მნიშვნელოვანი	არჩევითი	10	

	სისტემური მიდგომა პროექტების მართვის დროს. პროექტის სასიცოცხლო ციკლის ოთხი ეტაპი: 1. პროექტის წამოწყება/კონცეფიის ჩამოყალიბება; 2. დაგეგმვა; 3. შესრულება; 4. პროექტის დასრულება/გადაბარება.			
საგადასახადო საქმე	საგანი შეისწავლის შემდეგ საკითხებს: გადასახადის ცნება, ნიშნები, სტრუქტურა, კლასიფიკაცია; საგადასახადო სამართალი და საგადასახადო-სამართლებრივი ურთიერთობები; საგადასახადო სისტემა; საგადასახო სამართლის წყაროები; საგადასახადო კანონმდებლობა; საერთაშორისო საგადასახადო ურთიერთობის სამართლებრივი საფუძვლები; საგადასახადო სამართლის სუბიექტები; საშემოსავლო გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი; მოგების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი. დამატებითი ღირებულების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი; აქციზის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი; იმპორტის გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი; ადგილობრივი გადასახადები; ქონების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადასახდის წესი.	არჩევითი	10	
აკადემიური წერა	 წერის უნარი მნიშვნელოვანია სტუდენტისთვის, რათა მან წარმატებით გაიაროს სამაგისტრო პროგრამა, ხოლო შემდგომ შეიქმნას წარმატებული კარიერა ნებისმიერ ბიზნეს–გარემოში. აღნიშნილი კურსი ეხმარება სტუდენტს განივითაროს მოხსენებების, ანგარიშების, თეზისების, სტატიების და ა.შ. წერის უნარი. საგნის ძირითადი აქცენტი გადატანილია სტუდენტისათვის სამაგისტრო თეზისის მოსამზადებლად საჭირო ტექნიკური დეტალების გააზრებასა და ნაშრომის მოსამზადებლად მის გამოყენებაზე ისე, რომ გამოყენებული იქნეს საერთაშორის გამოცდილება და მისი შესაბამისი პრაქტიკა.	სავალდებულო	5	III
მარკეტინგის მენეჯმენტი	შეასწავლის სტუდენტებს კომპანიაში წარმოებული მარკეტინგული ფუნქციების თეორიულ საფუძვლებს. საგნის შესწავლის შემდეგ, სტუდენტმა უნდა შეძლოს მარკეტინგული მართვის პოლიტიკისა და სტრატეგიის ფორმულირება და მისი განხორციელების გზების დასახვა.	სავალდებულო	5	II
ექსპორტის პროცედურები	კურსი სტუდენტს აღჭურავს იმგვარი ინსტრუმენტებით, რაც მას საშუალებას მისცემს, განსაზღვროს სოფლის მეურნეობის ნებისმიერი პროდუქტის საექსპორტო პოტენციალი. გარდა ამისა, სტუდენტი გაეცნობა ექსპორტის საწარმოებლად საჭირო პროცედურებს, მათ თანამიმდევრობასა და არხებს. კურსი მოიცავს ექსპორტის განსახორციელებლად საჭირო ხარისხის	სავალდებულო	5	III

	დადასტურებისა და წარმოშობის დადგენისთვის საჭირო პროცედურებს. ექსპორტის პროცედურების გაცნობა კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიმდინარე პერიოდისთვის საქართველო-ევროპას შორის ხელმოწერილი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ფარგლებში.			
რძე და რძის პროდუქციის წარმოება და მართვა	სასწავლო კურსის მთავარი მიზანია, სტუდენტებს გააცნოს რძის პროდუქციის თანამედროვე წარმოების ბაზარი და ის სირთულეები, რომლებიც თან ახლავს რძის პროდუქტების წარმოების ღირებულებათა ჯაჭვს. კურსის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საქართველოს რძის პროდუქციის წარმოების ბაზარს, არსებული პრობლემების ანალიზსა და იმ შესაძლებლობებს, რომელიც შეიძლება მიიღოს მწარმოებელმა თანამედროვე სტანდარტებისა და რეგულაციების დაკმაყოფილების შემთხვევაში. კურსდამთავრებულები შეძლებენ, გაანალიზონ და შეაფასონ რძის პროდუქტების წარმოების შესაძლებლობები და საჭიროების შემთხვევაში ჩაერთონ ღირებულებათა ჯაჭვის მართვის პროცესში.	სავალდებულო	5	III
ხორცი და ხორცის პროდუქციის წარმოება და მართვა	საქართველოში მეხორცეობის დარგის განვითარებისთვის ჯერ კიდევ მთავარ გამოწვევად რჩება ეფექტური, თანამედროვე და ქმედითი მეთოდების დანერგვა მეცხოველეობის სახეობების გამოყვანის, კვების, საცხოვრებლის, ჰიგიენისა და ბიო-უსაფრთხოების ზომების გამოყენების თვალსაზრისით. ამ გამოწვევების გადაჭრა ადგილობრივ მცირე და საშუალო ფერმერთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას გულისხმობს მათი ეკონომიკური შესაძლებლობების, საარსებო წყაროს ზრდის გზით. ქართული ხორცის სექტორისათვის აუცილებელია გაძლიერება, მისი მასშტაბის გაფართოებისა და განვითარების მეშვეობით, რის შედეგადაც მიიღწევა მდგრადი მცირე და საშუალო ბიზნესის ხორცის მეურნეობის ინოვაციები, გარემოს დაცვითი მოთხოვნებისა და ცხოველთა კეთილდღეობის გათვალისწინებით. კურსის მთავარი მიზანია, სტუდენტებს გააცნოს ხორცის ღირებულების ჯაჭვის დინამიკა და კომპლექსურობა. კერძოდ, კურსი მოიცავს ინფორმაციას ხორცის ღირებულებათა ჯაჭვის შესახებ და გაცილებით სიღრმისეულად ამახვილებს ყურადღებას საქართველოში ხორცის დამუშავების ქსელის სხვადასხვა ნაბიჯებზე, რათა საშუალება მისცეს კურსდამთავრებულებს, შეაფასონ, გაანალიზონ, განმარტონ და აირჩიონ შესაძლებლობები ქართული ხორცის სექტორის განვითარებისთვის, რა დროსაც აქცენტი ქართველ ფერმერებზე გაკეთდება.	სავალდებულო	5	III
კაკლოვანი კულტურები	საექსპორტო პოტენციალის გათვალისწინებით, კაკლოვანი კულტურები სპონტანურად განვითარდა საქართველოში ბოლო ათწლეულის განმავლობაში და წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს დარგს ადგილობრივ სოფლის მეურნეობაში. მიმდინარე პერიოდში სახელმწიფოს მხრიდან სექტორი საჭიროებს ყურადღებას. სოფლის კოოპერირების ფორმატში სახელმწიფოს ჰქონდა მცდელობა ეზრუნა თხილის სექტორის განვითარებაზე. აღნიშნული	სავალდებულო	5	IV

	პროექტი მოიცავდა 3 მიზანს: 1. თხილის წარმოების სრული ციკლის განვითარება, წარმოება და გაყიდვები; 2. პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და საექსპორტო პოტენციალის ზრდა 3. სოფლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება აღნიშნული პროექტის საფუძველზე შესაძლოა, ითქვას, რომ საქართველოში არ არის სრულად განვითარებული ღირებულებათა ჯაჭვის მიდგომა. კაკლოვანი კულტურების სექტორი საჭიროებს კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და ამ მიმართულებით ფერმერთა ძალისხმევის მომგებიანობის გაზრდას. კურსი სწორედ ორიენტირებულია საქართველოში კაკლოვანი კულტურების დარგის განვითარებაზე. კურსი ასწავლის სტუდენტს კაკლოვანი კულტურების განვითარების ღირებულებათა ჯაჭვს და თითოეულ ეტაპზე საჭირო ქმედებათა თანმიმდევრობას.			
მებაღეობა	კურსი მოიცავს მებაღეობის აგროსექტორის ძირითად საფუძვლებს, მისი მიზანია სტუდენტს გააცნოს მებაღეობის წამყვანი კულტურები, მათი ბიოლოგიური, საწარმოო და სამეურნეო თავისებურებები; მოყვანის თანამედროვე აგროტექნოლოგიების მეცნიერული და პრაქტიკული პრინციპები. შეასწავლოს მებაღეობის აგროსაწარმოს ან პროდუქტების სარეალიზაციო პუნქტის მართვის პრინციპები, ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტ-იმპორტის რეგულაციები და პროდუქტის ხარისხის მოთხოვნები.	სავალდებულო	5	IV
პროფესიული პრაქტიკა	კურსის მიზანია, სტუდენტს მიეცეს საშუალება აუდიტორიაში მიღებული ცოდნა განახორციელოს პრაქტიკაში კონკრეტულ ორგანიზაციაში, გაიღრმაოს ცოდნა კონკრეტული მიმართულებით. ახლოს გაეცნონ აგრობიზნესის მენეჯმენტსა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგობრივ სპეციფიკას, დაეუფლონ აგრარულ სფეროში მუშაობისათვის აუცილებელ პრაქტიკულ უნარ–ჩვევებს. სტუდენტი შეძლებს კონკრეტული საქმიანობის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების შექმნას და უშუალოდ სამომავლო სამსახურებრივი ვალდებულების აღებამდე არჩევანის შესაძლებლობების გათავისებას; პროფესიული პრაქტიკის პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს მარტივად და სწრაფად დასაქმების შესაძლებლობა მიეცემა.	სავალდებულო	10	V
ლოჯისტიკა	კურსი საშუალებას აძლევს სტუდენტებს შეიძინონ ლოჯისტიკისა და მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტის ძირითადი კონცეფციებისა და	არჩევითი	10	

	ტექნოლოგიების საბაზისო ცოდნა. მისი ძირითადი მიზანია სტუდენტებისთვის მიწოდების ჯაჭვის ძირითადი პრინციპებისა და ლოჯისტიკის არსის გაცნობა, ლოჯისტიკის, როგორც მენეჯერული ამავდროულად სტრატეგიული ფუქციის მიმოხილვა, რომელიც მათ დაეხმარებათ ორგანიზაციებში ლოჯისტიკური პრობლემების ანალიზში და გადაწყვეტილებების ჩამოყალიბებაში.			
კორპორაციული მართვა	კურსში განხილული იქნება კორპორაციული მართვის არსი და საჭიროება. დღეს არსებული ორი ძირითადი კონცეფცია: ინგლისურ/ჩრდილო ამერიკული და კონტინენტურ ევროპული (გერმანია)- იაპონური. ნაჩვენები იქნება ამ ორი მოდელის ძლიერი და სუსტი მხარები. კურსში ნაჩვენები იქნება თუ როგორ შეიძლება იყოს აღებული მათგან საუკეთესო მხარეები მესამე მოდელის შესაქმნელად. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ორგანიზაციის მთლიანი რისკის მართვის სისტემას. განხილული იქნება პრაქტიკული კეისები მათ შორის ლონდონის სააქციო ბირჟის მხრიდან კორპორაციული მართვის მოთხოვნების შესახებ და თუ როგორ ასრულებს მას ქართული ორგანიზაციები. განხილული იქნება ევროკავშირის ნაბიჯები შექმნას კორპორაციული მართვის საერთო ევროპული კონცეფცია.	არჩევითი	10	
სამაგისტრო ნაშრომი	სტუდენტი თავისი ინტერესის სფეროდან გამომდინარე ყალიბდება სამაგისტრო ნაშრომის თემაზე და თემის დასაწერად საჭირო კვლევის გეგმაზე. სამაგისტრო ნაშრომის შუალედურ შეფასებამდე ამზადებს დოკუმენტსა და პრეზენტაციას, რომეშიც ასახული უნდა იყოს პროფესიონალიზმის შესაბამისი დონე, რაც გამოიხატება დოკუმენტის შინაარსობრივი სიღრმით, მოცულობითა და წერის სტანდარტებთან შესაბამისობით. ის მკითხველისთვის გასაგები ენით უნდა იყოს დაწერილი და ნათლად უნდა ასახავდეს საკვლევ პრობლემას. ეს დოკუმენტი ერთგვარ კონტრაქტს წარმოდგენს სტუდენტსა და კომისიას შორის, და ასევე, არის ბაზისი, რომლის მიხედვითაც სტუდენტმა უნდა ჩაატაროს კვლევა და მოამზადოს საბოლოო სამაგისტრო ნაშრომი. მას შემდეგ, რაც სტუდენტი წარმატებით ჩააბარებს შუალედურ შეფასებას, მას შეუძლია დაიწყოს მუშაობა სამაგისტრო ნაშრომზე. საბოლოო ნაშრომი წარედგინება თემის ხელმძღვანელს და კომისიას და ფასდება მათ მიერ სამაგისტროს ნაშრომის სახელმძღვანელოში მითითებული წესის შესაბამისდ. ამ ნაშრომში დასაბუთებულად უნდა იყოს წარმოდგენილი სტუდენტის შეხედულება კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში, რომელსაც ის იკვლევდა სწავლების ბოლოს. ეს ნაშრომი უნდა ასახავდეს აკადემიური სწავლების პროცესში სტუდენტის მიერ მიღებულ ცოდნას და ის უნდა ეხებოდეს კონკრეტულ ბიზნეს ფენომენს მისი ინტერესის მიხედვით, ან ემპირიულ კვლევაზე დაფუძნებულ ნაშრომს.	სავალდებულო	30	